# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № W-24

ქ. თბილისი 20 „მაისი“ 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ფოსტა“** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გრიგოლ მატუაშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს „ აიღვინისსახლი „** წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი ნანა ჭანტურია სახით, შემდგომში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**ხელშეკრულების საგანი:**

1.1.შესყიდვის ობიექტი რესტორნის მომსახურეობა-(CPV კოდი: 55300000)
1.2 2 შესყიდვის საგანს წარმოადგენს-2016 წლის 22 მაისს ლანჩი 11 (თერთმეტი) პერსონაზე.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1350.00 (ათას სამასორმოცდაათი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით,შესაბამისად ანგარიშწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული მომსახურებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ფოსტას“ პროტოკოლის სამსახურის უფროსი ეკატერინე ხვადაგიანი.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის აღმართი # 4

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების 24თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 04 ივლისის ჩათვლით.

## 10. სხვა პირობები

11.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი „შემსყიდველს“

## 11. მხარეთა რეკვიზიტები:

**“შემსყიდველი“**
**შპს „საქართველოს ფოსტა“**
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს “საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE13BG0000000123286800

---

**გენერალური დირექტორის**
**პირველი მოადგილე**
**გრიგოლ მატუაშვილი**

**“მიმწოდებელი“**
შპს „ აიღვინისსახლი „
მის:ელენე ახვლედიანის აღმართი N4
ს/კ 406128275
ბანკი: სს “თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE 22
ა/ა **GE64TB7864136020100002**

---

**დირექტორის მინდობილი პირი**

**ნანა ჭანტურია**